№ 40
ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1895

1877—1895

# ივერია

№ 40
ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრაფო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ვკისრულობ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(15—9)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 22 თებერვალს, სიონის საკრებულო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსის მიერ გარდახდილ-იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის სულის მოსახსენებლად.

*** გუშინ, 22 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზედ, დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე ტფილისიდგან პეტერბურგს გაემგზავრა.

*** გუშინ, 22 თებერვალს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ტფილისის საბჭოს დადგენილების თანახმად, ქალაქის მოურავის მოადგილე ა. ა. ივანენკო, ქალაქის წევრნი ე. ც. ხოსროევი და თავადი პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ქალაქის მდივნით ს. თ. ჭრელაშვილითურთ მისს უმაღლესობას დიდს მთავარს ნიკოლოოზ მიხეილის ძეს წარუდგნენ ქალაქის საბჭოსა და მცხოვრებლების მხრივ სამძიმარი გამოუცხადეს დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალებისა გამო. დიდმა მთავარმა მადლობა გარდაუხადა და სთხოვა, მისი მადლობავე გარდაეცათ ქალაქის საბჭოსათვის.

*** გუშინ, 22 თებერვალს, ქალაქის გამგეობას მოწერილობა მოუვიდა ტფილისის გუბერნატორისაგან. თავადი შერვაშიძე სწერს, ტფილისის პოლიცმეისტერმა შემატყობინა, რომ ქალაქი ღამ-ღამე მეტად ცუდად არის განათებული, რის გამოც პოლიცია ჯეროვანად ვერ ასრულებს თავისს მოვალეობას ღამე, და ვერ იცავს მკვიდრთა მშვიდობიანობასაო. თუმცა ქალაქის გამგეობა დამპირდა, ვეცდებით განვაკარგოთ ქალაქის განათება, მაგრამ 1895 წლიდგან მოკიდებული ქალაქი, თუ უარესად არა, უკეთესად არა ნათდებაო. გუბერნატორი სთხოვს ქალაქის მოურავს, რომ ქალაქმა უეჭველად იზრუნოს ამ საქმისათვის, მით უმეტეს, რომ უფანრობას, მეტადრე მიხვეულ-მოხვეულს ქუჩებში, ხშირად დიდად ცუდი შედეგი მოსდევს მცხოვრებლებისათვისაო. იმედია, ეხლა მაინც გაიბერტყავს ყურებს ჩვენის ქალაქის თვით-მმართველობა.

*** გუშინ, 22 თებერვალს, ღამე, ცირკში წარმოდგენის დროს ერთი უბედურება მოხდა. როდესაც წყლის პანტომიმა გაიმართა ბოლოს და არტისტებმა გაკეთებულ ხიდიდგან წყალში მალაყით დაიწყეს ხტომა, ცირკის საუკეთესო არტისტი ფერდინანდ კრისტენსიც მალაყით ჩახტა წყალში, მაგრამ როგორღაც უხერხულად მოუვიდა გადახტომა, კისერზედ დაეცა და ტვინი შეერყა. პირველში ვერ შეჰნიშნეს, მაგრამ შემდეგ ყურადღება მიაქცია საზოგადოებამ, ამოიყვანეს საცოდავი და რის წვალებით მოაბრუნეს, მაგრამ ექიმები იმ აზრისანი არიან, რომ ძნელად თუ სიკვდილს გადარჩესო. როგორც ამბობენ, ზურგის ხერხემალი კისერთან გადამტვრეული აქვს თურმე.

*** ქართულის წარმოდგენების მმართველი ამხანაგობა, როგორც შევიტყვეთ, აღარ აპირებს დიდ-მარხვაში წარმოდგენების გამართვას. ეხლა ამხანაგობა წარსულის სეზონის ანგარიშების რიგზედ მოყვანაშია. ჯერჯერობით თუმცა ეს ანგარიში საბოლოოდ არ არის შემდგარი, მაგრამ ზოგიერთი საინტერესო ცნობანი შეგვიძლიან ვაუწყოთ მკითხველებს. მთელს სეზონში 22 წარმოდგენა იყო გამართული. ამ სპექტაკლებისაგან სრული შემოსავალი ყოფილა დაახლოვებით 7800 მანეთი; ხარჯი მთელის სეზონისა თითქმის ამდენივე ყოფილა; ან ცოტა მეტ-ნაკლები.

თუმცა მოგება არა დარჩენილა-რა, მაგრამ სამაგიეროდ ამხანაგობას თეატრისთვის შეუძენია: ტანისამოსი და პიესები—სულ 414 მანეთისა.

არტისტებს ჯამაგირში 2.354 მან. 64 კ. მიუღიათ.

*** პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ გაზეთ „მოსკ. ვედ.“-ს რომ ჩაის ხელის შესასწავლი ექსპედიცია საუფლისწულო მამულებისა 26 თებერვალს ოდესაში მიდის, იქიდგან ალექსანდრიის გზით გაივლის სუეზს და წითელის ზღვით ინდოეთში მივა იმ საგნით, რომ ჩაის ხელი ისწავლოს. აქედგან-კი ჩინეთსა და იაპონიას გადავა.

*** სამეურნეო სამინისტროსთან დაარსებული იყო საბჭო, რომელიც ეხილავდა ყარსისა და ბათუმის ოლქებში როგორ უნდა იყოს დაწესებული მიწათ-მფლობელობა. ამ საბჭოში მონაწილეობას იღებდნენ კავკასიის წარმომადგენელნი ბ. ბ. საყვარელიძე და გრებენშჩიკოვი.

საბჭომ დაადგინა: კანონი ათის წლის მფლობელობისა არ უნდა იქნეს აწ მიღებული სახელმძღვანელოდ უძრავ ქონებათა შეძენის დროს ზემო აღნიშნულს ადგილებში; ვაკუფნთა და მიულკულდართა მიწათა გარდა ყარსის და ბათუმის ოლქებში ყოველი მიწა უნდა იქმნეს სახელმწიფოთ ჩარიცხული; უნდა იქმნეს დაცული კანონი 26 ოქტ. 1884 წ. შესახებ გასყიდვისა მხოლოდ იმ მიწებისა, რომელზედაც მეპატრონეთ აქვთ კანონიერი ნასყიდობის ქაღალდი—შესრულებული რუსთა კანონის თანახმად; ქალაქის უძრავი ადგილები უნდა იქმნენ ცნობილი კუთვნილებათ თვით ქალაქთა, დაბათა და კერძო პირთა; ამასთანავე საჭიროა შემოღებულ იქმნას საერთო კანონი მიწის მფლობელობისა ქალაქ გარეთ მდებარე ადგილების შესახებ ამ ოლქებში იმავე დროს როცა გამოცემულ

### ფიცი მწამს,—ბოლო მაკვირვებს.

(ვუძღვნი ბ-ნ დიმ. ერისთავს).

„ივერიის“ მე-33 №-ში დაბეჭდილია ბ-ნ დიმ. ერისთავის წერილი შემდეგის სათაურით: „ორიოდე სიტყვა სოფლის მკურნალებზედ და მკურნალობაზედ“. ამ წერილში ბევრი საგულისხმო აზრებია წარმოთქმული და საზოგადო შეხედულება ავტორისა, რომ სოფლად ბევრი ვნება და ცუდი საქმე ხდება სოფლის ვითომ-და ექიმებისაგან,—მართალია, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ იმ საზოგადო აზრს ავტორისას, რომ ყველა სოფლის ექიმები დევნულ იქმნენ და „სრულიად აღეკრძალოს სოფლის მკურნალებს ექიმობა“. ამგვარი აღკრძალვა თვით კანონსაც ვერ დაუნახავს შესაძლოდ, როგორც თვითონვე ავტორი მოგვითხრობს და მაშასადამე ისე გასაწირავი არ ყოფილა სოფლის მკურნალობა, როგორც ბ-ნი დიმ. ერისთავი ამხედრებულა მასზედ. პირ-იქით ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვურჩიოთ ჩვენს ნასწავლ ექიმებს, კარგად ჩაუკვირდნენ სოფლის მკურნალობას და დარწმუნებული ვარ, ბევრს ახალ რასმეს შესძენენ ამით მედიცინას. თუმცა ამ აზრის წარმოთქმისათვის ძალიანა ჰკიცხავს ბ-ნი დიმ. ერისთავი

## ფელეტონი

### ორი ლოცვა.

I

ღმერთო ძლიერო! ახალგაზდა სულით და გულით
შენდმი აღვავლენ სასოებას, თაყვანის-ცემას,
სიხარულის ცრემლს, გამოწვეულს თვით სიყვარულით,
გულდრუკად ვუკმევ, მეუფეო, შენსა დიდებას!
უკვდავო არსო! შენ დამბადე, შთამბერე სული,
შენვე მომმადლე ნორჩს სიცოცხლე, შვება და ლხენა,
ნიჭი, გონება—ხალხთა ლამპრად ცით გარდმოსული—
წინამძღვრად მომეც, მიწყალობე მეტყველი ენა...
ეს არ მაკმარე: მბრძანებელად მთელის ერისა,
ჯერ ისევ ნორჩი, გვირგვინოსნად გარდმოამავლინე,
შეჰკრიბენ ერთად სიმდიდრენი მიწის და ცისა,
უხვად მომიწყე, გამახარე და მომალხინე;—
ზღვა და ხმელეთი დამიმონე, დამიმორჩილე,
გამანებივრე განცხრომითა, ნადიმ-გალობით,
კვნესა, ვაგლახი უმრავლესთა გარდამაცილე;
ტახტი ჰრძანების დამინიშნე შთამომავლობით,
ჩემსა დიდებას, ჩემს სიამეს და ჩემსა ნებას
ამ სოფლიერად არ დაუდევ არა-რა ზღვარი,
ვერვინ გადავა ვერცა ერთსა ჩემსა ბრძანებას,
მე მაბარია წუთი-სოფლის სამოთხის კარი!..
ამ ყოფის გარდა რა მოგთხოვო? რას გემუდარო?
არა მინდა რა, არასა გთხოვ: ვარ ბედნიერი!
მხოლოდ გთხოვ, ღმერთო, ამ ნაირად დიდხანს მახარო,
არ ჩამომართვა ეს დიდება, მეფობა, ერი...
ოდეს, უფალო, დამაყენო საიმქვეყნო გზას,
აუცილებლად მომიკითხო და დამიბარო,—
გთხოვ, მეფეთ შორის! მომცე ბინა შენს გვირგვინოსანს
და იმათ შორის ყოველგვარად მე გამახარო!..

II

ღმერთო ძლიერო! დავრდომილი, დაბრმავებული
მეფე სნეული სამარისკენ მივჰყევარ სიკვდილს...
ჩემი სამეფო, ჩემი ტახტი სახელ-განთქმული
ველარა მშველის, შენგან ნაკურთხს და ძლევა-მოსილს!..
ძალი სულისა, გრგვინვა გულის, ვნებათა ღელვა
და სიყმაწვილე სამეხ სეტყვოდ გამზადებული,
განჰქრნენ უმჩნევლად, უგზო-უკვლოდ, ვითარცა ელვა
და დავრჩი ახლა მხოლოდ კაცი ძალ-მოკლებული...
ჩემი სიცოცხლე ოთხმოცის წლის ტკბილად განვლილი,
დღეს მხოლოდ, ვითა უფერული აჩრდილი, მახსოვს;
საერო ვალი — ეს გულ-ბნელი, ხარბი სიკვდილი—
როგორც რომ მონას, უკანასკნელს, მეც-კი ხარკსა მთხოვს!..
ვგრძნობ—ყოველივე ფუჭი არის ამ ქვეყნიერად,
ყველას მოელის ერთი ბოლო: სამარის გული!
ვერავინ ჩასთვლის თავსა თვისსა სრულ ბედნიერად,
ვინც უნდა იყოს, თუ არ მადლით სახელ-განთქმული;
ყოველს დიდებას, ყოველსა სხივს, კაცთა მოგონილს,
ან ისევ—ისე კაცი ანგრევს, ან დროთა ბრუნვა,
მხოლოდ სიყვარულს, ერთობასა, მადლით მოვლენილს,
უკვდავათა ჰხდის დიდ არსება და კაცთა ზრუნვა!..
ჰე, მეუფეო! რაღა გთხოვო? რას გემუდარო?
გუშინ მძლე მეფე, მაგრამ დღეს-კი მხოლოდ-ღა კაცი,
მარტო ამას გთხოვ: თანასწორად ყველა ახარო,
ყველას აღიჭო ნების ყოფა, გულის წარმტაცი!..
მრავალ არიან, მაცხოვარო, ვრდომილნი სულით,
დღის ვარამისგან დატანჯულნი, მტირალ მწუხარე,—
მოსწმინდე ცრემლის ნაკადული მათ სიბრალულით,
თავისუფლება მიანიჭე და გაახარე;
საერთო ლხენით აამღერე, თან სიბრალულით
დაუსალბუნე მაშვრალთ წყლული საკვნესი, მწარე,
მეც იმათ შორის სინანულით და სიყვარულით
სამუდამ-ჟამოდ მომეც ბინა და დამამყარე!..

გრ. აბაშიძე.

იქმნება წესდება მკვიდრთა მამულების შესახებ და ქალაქის მამულების შესახებ-კი მაშინ, როცა გამოკვლეული იქმნება საზღვრები ამ მამულისა.

ყველა ამ მოსაზრებას დაეთანხმა. ამას გარდა საბჭომ ისიც დაადგინა, რომ გადასინჯულ უნდა იქმნას სასამართლოს ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება იმ მამულებს, რომელნიც მფლობელობის ძალით არიან მოპოვებულნი. ამაში-კი ვერ დაეთანხმა მინისტრი; რომლის აზრით არ უნდა ჩამოერთვათ მამულები იმათ, ვისაც, თუმცა მფლობელობის ძალით უჭირავთ, მაგრამ მეურნეობა დაუწესებიათ და მამულის შეკეთებას მისდევენ.

ყველაზედ მეტი ხარჯი თეატრის ქირაში მოჰსვლიათ: 2,510 მ. 25 კ. სამწუხაროა, რომ გამქირავებელს ასე ძვირად მიუცია ქართულ წარმოდგენებისათვის თეატრი. ასე ძვირად არასოდეს არ ყოფილა იგი გაქირავებული.

⁎⁎ ბათუმი: 20 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურის მცხოვრები ივლიანე გოგოლაშვილი რკინის გზის ლიანდაგზედ მიდიოდა. როდესაც გაიგონა მატარებლის ყვირილი, უნდოდა გადასულიყო ლიანდაგიდგან, მაგრამ ფეხი წამოჰკრა რაღასაც და წაიქცა. მატარებელმა მოასწრო და ორივე ფეხები მოსწყვიტა. დაშავებული ბათუმის სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁎⁎ ევლახი: 21 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზედ ორი საქონლის მატარებელი დაეჯახნენ ერთმანეთს და ექვსი ვაგონი დაშავდა. ამ უკანასკნელს დროს რამდენჯერმე მოხდა შეჯახება მატარებლების, მაგრამ ხალხის უბედურება არა მომხდარა.

## ახალქალაქის ამბები.

დიდის ყურადღებით წაიკითხავდა მკითხველი ამ წლის „ივერია“-ში (№ 18 და 22) მეთაურს წერილს ბ-ნის შროშანისას. ამ ორს წერილში მოყვანილია გაზ. „მოსკ. ვედ.“-დგან მეტად შემაძრწუნებელი ამბავი.

რუსული გაზეთი ესარჩლება თავისს მოძმე პატარა ერს მართლ-მადიდებელს რუსინებს, რომელნიც იჩაგრებიან ძლიერის ერისაგან, უნგართაგან. „უნგარებმა, ამბობს გაზ. „მოსკ. ვედ.“-ი, წაართვეს რუსინებს ყოველივე: სკოლა, ეკკლესია, თავისუფლება სინიდისისა, ენა; გარყვნეს მათი სამღვდელოება და გარყვნეს თვით ინტელიგენციაც“.

ჭეშმარიტად რომ ბარბაროსობაა ასე ძალმომრეობით განადგურება ერისა საზოგადოდ და მეტადრე ქრისტიანე ერისა! ამ შემთხვევაში თვით უმაღლესი და სიბრძნე და სამართლიანობა ჰღაღადებს „მოსკ. ვედ.“-ის ბაგით! მაგრამ ამგვარსავე მსჯელობას რომ იქონიებდეს მოსკოველი გაზეთი ჩვენის ახალქალაქის ქართველ პატარა საზოგადოების შესახებ, კარგს ინებებდა.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია „მოსკ. ვედ.“-ს ვუამბო ქართულის წირვა-ლოცვის ისტორია ქ. ახალქალაქში.

ჩვენ ახალქალაქის ქართველებს წირვა-ლოცვა, რასაკვირველია, ქართულს ენაზედ გვქონდა ყოველთვის, ხოლო სახელმწიფო დღესასწაულებში სწირავდნენ სლავურ ენაზედ აქ მდგომ ჯარისათვის. ასე სწარმოებდა წირვა-ლოცვის საქმე ნახევარი საუკუნე, ვიდრე ამ 7—8 წლის წინად დაგვინიშნავდნენ სხვა მაზრის უფროსს. ამ დღიდგან ქართულმა ნელნელა იკლო და ბოლოს სრულებით მოსპეს ქართული წირვა-ლოცვა ჩვენს ეკკლესიაში.

6 დეკემბერს, 1889 წ. ახალქალაქის მაზრის მაშინდელმა უფროსმა პოლკოვნიკმა დ.—ტ. ტაძარში შეაყენა წირვა, წმიდა ლიტურღია, მხოლოდ იმისთვის, რომ ეკკლესიაში ყაზახების ხოროს როგორღაც წამოსცდა და ერთ-გზის იგალობა ქართულად გრძელი უფალო შეგვიწყალე. ამ სკანდალმა ისე ჩაიარა, რომ ვერც მღვდელმა და ვერც ერმა ვერავითარი პასუხი ვერ უგო. არამც თუ უბრალო ხალხს, ქართველს ჩინოვნიკობასაც ასე ეგონა—ალბად უმაღლესის მთავრობის განკარგულება თუ არისო.

მხოლოდ ერთად-ერთი კაცი აღმოუჩნდა ქართველს ხალხს, რომელმაც ხმა ამოიღო. ეს მოსარჩლე აქაური მემამულე, განსვენებული მიხეილ მუსხელოვი იყო. გულ-წრფელი, მფარველი და ჭეშმარიტი გზის მაჩვენებელი ჯავახეთის ქართველობისა. მხოლოდ ამან ერთად-ერთმა გამოიდო თავი და ჩააგონა გულ-დაჩაგრულს ხალხს: ვეძიოთ ჩვენ ჩვენი უფლება, თუ გაჭირდა თვით უმაღლეს მთავრობამდინაც მივიდეთო და ჩვენს უფლებას-კი ადვილად ნუ შევალახვინებთ მაზრის მოხელესაო.

ხალხმა მიჰმართა არზით საქართველოს ეგზარხოსს პალადის და სთხოვა: დაგვიფარეთ და უბრძანეთ, რომ თქვენს გარდა საეკკლესიო საქმეში არავინ გაერიოსო. ორასი წელიწადი მეტი ვიყავით მაჰმადიანთა ხელში და ისინიც-კი არ გვიშლიდნენ წირვა-ლოცვას ჩვენს სამშობლო ენაზედ და ახლა რაღა რისხვაა ჩვენს თავზედაო? რა დავაშავეთ, რომ აღგვეკრძალოს ჩვენს ენაზედ ვადიდოთ ღმერთი? ნუ თუ სასინანულოდ უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ მართლ-მადიდებელნი ვართ და შურის თვალით უნდა შევყურებდეთ ჩვენს მეზობლებს სომხებს, ურიებს და მაჰმადიანებს, რომელთაც უფლება აქვთ შეუვიწროებელად და შეურაცხყოფელად აღავლინონ ვედრება და დიდება უფლისადმი მშობლიურს ენაზეო?!

ეგზარხოსმა პალლადიმ 1890 წ. მარტის 12 ს შემდეგი «რეზოლიუცია» დააწერა ხსენებულს თხოვნას: „ადგილობრივმა ბლაღოჩინმა ხახუტოვმა დაამშვიდოს ახალ-ქალაქის ქართველი საზოგადოება და გამოუცხადოს მღვდელს ჩიტაძეს, რომ წირვა-ლოცვა მათს ტაძარში უნდა სწარმოებდეს რიგ-რიგით ხან ქართულსა ხან რუსულს ენაზედ, რადგანაც მლოცველნი (მრევლი) შესდგებიან ქართველებისა და რუსებისგან, ასე იქცევიან სხვა ეკკლესიებშიაც ამ მხარეში.»

თანახმად ამ რეზოლიუციისა, მოწერილობა ჩვენს მღვდელს სწორედ ვნების კვირაში მოუვიდა, მაგრამ აღდგომის ცისკარზედ და წირვაზედ (1 აპრილს) არა-თუ წირვა-ლოცვა, ან სახარება; ასე წარმოიდგინეთ, „ქრისტე აღსდგაც“-კი არ მოგვისმენია ქართულს ენაზედ! საუბედუროდ ვერა გვიშველა-რა ეგზარხოსის ზემოხსენებულმა განჩინებამ. სამი წელიწადი ისე უნაყოფოდ იდო ეს განკარგულება და რეზოლიუციის შინაარსიც-კი არ გამოსცხადებია მრევლს. თუმცა კერძოდ-კი ყველამ შეიტყო ეგზარხოსის განკარგულება.

ასე გადიოდა დრო და ჟამი. 1893 წელს ზაფხულში გამოიარა ახალქალაქზედ ახლ ნდელმა ეგზარხოსმა ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა, რომელთანაც შემთხვევით აღძრეს ლაპარაკი მღვდელმა და ბლაღოჩინმა ქართულ წირვა-ლოცვის შესახებ.

ეგზარხოსმა უბრძანა ბლაღოჩინს, ცნობები შეკრიბეთო და თუ ქართველობა მეტია ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებ რუსებზედ, მაშინ რიგ-რიგით იყოს ხოლმე წირვა-ლოცვაო—ხან ქართულად, ხან სლავურადაო.

ახლად აღძრულის კითხვის გამო ქართველმა მრევლმა, რომელიც მეტი აღმოჩნდა ადგილობრივ მკვიდრ რუსებზედ, მოიყარა თავი და როგორც იყო გაბედინეს მღვდელს ორიოდჯერ ქართულად წირვა (1893 წ. შობის მეორე დღეს და მერეც). ეს ამბავი შეატყობინეს სადაც ჯერ იყო და შარშან (94 წ.) ყველიერში ეგზარხოსის კანცელარიამ მოსთხოვა მღვდელს ჩიტაძეს ცნობანი იმის შესახებ, თუ რა ნაირად წარმოებს წირვა-ლოცვა თქვენდამი მონდობილს ეკკლესიაშიო: ქართულად, რუსულად (რუსულ-ქართულად) თუ რიგ-რიგადაო. მღვდელმა მოახსენა, ხან ქართულად ვწირავ, ხან რუსულადაო (რიგ-რიგად) და ამას იქით როგორღა გვიბრძანებთო? ამ მიწერ-მოწერის გამო ქართული წირვა-ლოცვის საქმე ისევ შეფერხდა. იმ ხანებში (20 თებერვალს 1895 წ.) გადაიყვანეს კიდეც აქედგან ჩვენი მაზრის უფროსი და მის მაგიერ დაგვინიშნეს თ-დი თარხან მოურავი. მაგრამ ორიოდ ჯერ ქართული წირვა-ლოცვის გამო, რუსის ინტელიგენციამ (დროებით აქ მცხოვრებმა) დრტვინვა დაიწყო და უნდოდა სრულებით აღეკრძალათ ჩვენს ეკკლესიაში ქართული წირვა-ლოცვა. ამ დრტვინვამ თვით ადგილობრივ ჯარების გარნიზონის უფროსს აიღებინა კალამი და ოფიციალურად მიაწერინა საქართველოს ეგზარხოსთან, ორიოდჯერ ქართულის წირვის შესახებ. პასუხად შარშან ოქტომბრის პირველს რიცხვებში ბრძანება მოუვიდა ჩვენს მღვდელს ეგზარხოსისა, რომ ჩემი მოადგილის რეზოლიუცია შეუცვლელად აღსრულდესო და ამასთან იმასაც დავსძენ, რომ სახელმწიფო დღესასწაულებში-კი უეჭველად სლავურად იყოს ხოლმე წირვაო.—

ჩემის აზრით ამ ახლად შემოერთებულს მხარეში არამც თუ უნდა უშლიდნენ ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვას, პირ-იქით ყოველ ღონისძიებას უნდა ხმარობდეს ჩვენი სასულიერო მთავრობა და ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება, რომ ქართული წირვა-ლოცვა რაც შეიძლება გაამშვენიეროს: დააწესოს მგალობელთა გუნდი სადაც-კი ეკკლესია არის და აგრეთვე ვალდებული გახადონ მღვდლები ყოველ-კვირა-უქმე დღეს ქართულად უქადაგონ ხალხს ქრისტეს ჯულის შინაარსი. ეს იმიტომ მიმაჩნია საჭიროდ, რომ

---

წარსულის წლის კორესპოდენტსა, მაგრამ კერძოდ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ხალხში ბევრი რამ არის დარჩენილი იმისთანა, რომელიც ჯერ მედიცინამ არ იცის.

ჩვენ არ შეგვიძლიან ყველა სოფლის ექიმებს ერთგვარი მსჯავრი დავსდოთ: ექიმიც არის და ექიმიც. დიაღ, ბატონო, დაგეთანხმებით, რომ სოფლად ბევრია და მრავალისაგან უმრავლესი ხალხის მატყუარა და მძარცველი მკითხავ-მარჩიელები, მაგრამ აქედგან ის დასკვნა არ შეიძლება გამოვიყვანოთ, რომ ყველა სოფლის ექიმი ასეთი იყოს. ნუ დაივიწყებთ, ბატონო, რომ სოფლად მოიპოვებიან იმისთანა ექიმებიც, რომელნიც, თუ არა სჯობიან რომელიმე ნაწილში, უკან მაინც არ ჩამორჩებიან ნასწავლს ექიმებსა. მე ვიცი სამწუხაროდ მართლაც იმისთანა შემთხვევანი, რომ „ნასწავლს ექიმებს“ ვერაფერი უშველიათ რომელიმე ავადმყოფისათვის და უბრალო სოფლის ექიმს-კი მოურჩენია იგი. ამისთანა მაგალითები კარგა ბლომად ვიცი და გამიგონია, მაგრამ აქ მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვან და თუ საჭიროება მოითხოვს, შემდეგ სხვებსაც მოგახსენებთ.

არის ერთი ექიმი ქალი, რომელიც მშვენიერად არჩენს ბუასილსა (და ბუასილის უებარი წამალი ხომ ჯერ არ იცის მედიცინამ?). მე მყავდა ამხანაგი, რომელიც საშინლად იტანჯებოდა ამ სენით და ტფილისში იწვა საავადმყოფოში. ისე შეწუხებული იყო, რომ „დოქტორებმა“ იმედი გარდასწყვიტეს, ოპერაცია ვერ გაუბედეს და სოფელში გაუშვეს იქნება იქაური ჰაერი მოგიხდესო, ე. ი. თავიდგან მოიშორეს. სოფელში მას უთხრეს, ესა და ეს ქალი კარგად არჩენს მაგ სენსა და სინჯე მისი წამალიცო. მართლაც გაუგზავნა ერთი მანეთი და წამალი მოატანინა. ორი მიღება საკმაო იყო, რომ სასიკვდილოდ გამზადებული კაცი მორჩენილიყო და შემდეგ მისს ტანში ამ სენს აღარ გაუვლია. ეს წამალი მგონი მან შემდეგ დოქტორ ილინსკისაც აჩვენა, როგორც საკვირველი რამ. აი მაგალითი, რომელიც მე ჩემის თვალითა ვნახე. ეხლა როგორ ავხსნათ ეს შემთხვევა? თქვენი ფიცი მწამს, მაგრამ ეს ბოლოც მაკვირვებს!

ვის არ გაუგონია ქრილობის ექიმობაში ცნობილი გვარი შორაპნელ თურმანიძეთა? ვინ იტყვის, რომ მათ არ იცოდნენ ეს ხელობა? და მათ ხომ სამედიცინო ფაკულტეტები არ დაუსრულებიათ! ეს გვარი ისე ცნობილია ამ ხელობით, რომ ბევრს აღარას ვიტყვით მათზედ; მით უმეტეს, რომ მათ მთავრობისაგანაც აქვთ ნებართვა ექიმობისა... მაშ, რაკი კლინიკებში არ ყოფილან, იმათაც უნდა აღეკრძალოთ ექიმობა და ხალხის დახმარება?!.

არის კიდევ ტფილისში ერთი უბრალო ექიმი, გვარად ბაჯიაშვილი (თუ არა ვსცდები), რომელიც მშვენივრად არჩენს მოტეხილსა და ნაღრძობსა. ერთს ჩემს ამხანაგს, რომელიც ტფილისში სწავლობდა, ხუთის წლის წინად გაქცევისდროს ფეხი გადაჰბრუნებოდა და კოჭში ამოვარდნოდა. ფეხი მაშინვე გაესწორებინათ და აღარ სტკიოდა, მაგრამ ხუთის წლის შემდეგ გაუხსნა და ისევ ასტკივდა. ავადმყოფი მაშინვე ქალაქის მიხეილის საავადმყოფოში დაწვა. იქ გასინჯა იგი ექიმმა როზენბაუმმა და უთხრა, რომ ძვალია დამპალი და მაგის მორჩენა შეუძლებელია, თუ არ მოიჭრიო. ამაზედ ავადმყოფი არ დაეთანხმა და საავადმყოფოდგან გამოვიდა. მას ურჩიეს ზემოხსენებულს ბაჯიაშვილს სჩვენებოდა, რაიც აღასრულა კიდეც. ამ დროს მე და ის ავადმყოფი ერთს ბინაზედ ვიდექით და თვითონ მე ვარ მოწამე, რომ ამ ექიმმა ორისა თუ სამის კვირის განმავლობაში სრულიად მოურჩინა ფეხი რაღაც წამალში დაზელვითა და მხოლოდ ხუთი მანეთი აიღო საექიმო. მას აქეთ ხუთი წელიწადია. როგორ გგონიათ, ბატონო, ნუ თუ ამასაც უნდა აღეკრძალოს ექიმობა, რადგან „პატენტი“ არა აქვს?!. ამისთანა მაგალითები ძლიერ ბევრი ხდება და მე მგონია, ყველასაც გაეგონება, თუ არ უნახავს. არ ვიცი რისგან მოხდება ხოლმე ესა: „ნასწავლის ექიმების“ დაუდევრობისაგან თუ მართლა მათის უცოდინარობისა გამო! ხალხი ბრმა არ არის; იგი ჰხედავს ამისთანა მაგალითებსა და რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ უფრო სოფლის ექიმს მიაშუროს მან, ვიდრე „ნასწავლსა“? ეს გახლავთ ერთი მიზეზი იმისა, რომ სოფლის ხალხი ნასწავლს ექიმს გვერდს უვლის.

მეორე მიზეზიც გახლავთ შემდეგი: სოფლის ხელ-მოკლე კაცი მიდის სოფლის ექიმთან, რომელიც უფრო გულ-დასმით მოუსმენს მას ყველაფერ მისს გაჭირვებასა და ორ შაურად, ანუ აბაზად მისცემს შესაფერს წამალსა, „დაუქმურებულის“ იქნება იგი თუ «ხელ-ნაკრავისა». ზოგჯერ ეს წამალი მართლა ჰშველის ავადმყოფსა და რას დაგიდევს იგი მართლა „ხელ-ნაკრავი“ იყო თუ ფეხ-ნაკრავი. თქვენთან-კი ვერ მოდის, მისთვის, რომ ერთის მხრით ეშინიან თქვენი დაბეჩავებულს სოფლის კაცსა და ამის გამო ყველაფერს თავისს გაჭირვებას დაწვრილებით ვერ გატყობინებს და მეორეს მხრით—სადა აქვს ხუთი მანეთი და თუმანი, რომ მარტო ფეხის ქირად მოგართვათ? თუმანს იგი ერთ წელიწადსაც ვერ დაინახავს თვალითა და თქვენთვის კი იგივე თუმანი მარტო პაპიროსის ფულია. ზოგჯერ თვითონაც იცის საწყალმა გლეხმა, რომ ამ სენს „დოხტური“ უფრო მოარჩენსო, მაგრამ იმავე ხელ-მოკლეობის მიზეზით ვერ მოდის თქვენთან. აბა შედით საწყალის კაცის მდგომარეობაში, გაიგეთ მისი გასაჭირი, მოუსმინეთ ყველაფერი ყურადღებით, გულ-დასმით გასინჯეთ ავადმყოფი და არა „სამაინცოდ“, ეცადეთ, რომ ავადმყოფობა იცნოთ სწორედ და შესაფერი წამალი მოუძებნოთ; ამასთანავე ნუ დაისვამთ კერპად ვეცხლსა: დასჯერდით ფეხის ქირად ცოტასა და მაშინ ჰნახავთ, რომ სოფლის კაციც დააფასებს თქვენს გულ-კეთილობასა და მოგმართავთ კიდეც; თორემ ათასი იძახოთ სოფლის ექიმებს, ბრალიანსა და უბრალოს, აღეკრძალოთ ექიმობა, რადგან „პატენტი“ არა აქვთო და მოისპონ იგინი პირისაგან ქვეყანისაო, მაგით ისინი არ მოისპობიან და მარტო სიტყვებით ვერც ხალხს მიიბირავთ. რად გგონია, რომ ყველაფერი ჩვენი უბედურება მარტო ჩვენის ხალხის უმეცრებისაგან წარმოსდგება? ნურც ისე უმეცარი გგონიათ მართლა ჩვენი ხალხი, რომ ავი და კარგი ვერ გაარჩიოს...

კორ. მაღრაძე.

მკვიდრი მოსახლენი ახალ-ციხის მხარეში თითქმის 90% გამაჰმადიანებულ ქართველებისაგან შესდგება, რომელნიც ქართულს ენაზედ წმინდად ლაპარაკობენ. მერე რამდენია იმისთანა ოჯახი, რომ ერთი ძმა ქრისტიანია და მეორე მაჰმადიანი.

ჯავახელი.

* *
*

ღმერთო, ამრავლე გმირები
ტანჯულთა გამომხსნელია,
მშვიდობა ქვეყნად დამყარდეს,
უშიშრად ვლიდეს შველია;
გასწყდეს მსუნაგი და მავნე
დათვი, ტურა და მელია,
იელვოს, მეხი დაეცეს,
ვინც მოძმის დამჩაგვრელია!

ანდრო უჩამეიშვილი.

## სახალხო წერა-კითხვის შესახებ.*)

ყოველი აზრი, ისე, როგორც ცოცხალი ორგანიზმიც, იზრდება და თავის ზრდის დროს სხვა-და-სხვა ფაზისს, სხვა-და-სხვა გაჭირვებას გამოივლის ხოლმე. ის რამდენადაც ჭეშმარიტია, იმდენად იმისი მნიშვნელობა ჰმატულობს და ებეჭდება ხალხს გონებაში. სახალხო წერა-კითხვა ჩვენში, როგორც რუსეთშიაც, პირველად გლეხების განთავისუფლების შემდეგ იწყება. მას პირველის ავე დღიდგან ბევრი მომხრეები ჰყავდა, მაგრამ უფრო ბევრი მტრები. გავიდა დრო და ჭეშმარიტებამ თავისი გზა გაიკვლია. ეს აზრი პრინციპიალურად მაინც ყველასაგან მიღებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი წინმსვლელობა დღემდის შეფერხებული, ელფერს მოკლებული და სხვა-და-სხვა გარემოებით შეზღუდულია. ყოველსავე საქმეს უნდა გრძნობა, თითქმის სარწმუნოებრივი მისწრაფება, ალტაცება. აი, ეს გვაკლია ჩვენ. რატომ? განა ჩვენში ნიჭიერნი და განვითარებულნი არ არიან? დიაღ, რომ არიან! მაგრამ ეს იმ ნიჭი იმარხება, ისე, როგორც ყოველ-გვარი პოტენციალური ენერგია: ნიჭს უნდა დრო, წვრთნა, ბრძოლა. საბედნიეროდ ამ ბოლოს დროს თითქო რაღაცა გაღვიძება დაგვეტყო: დღეს აარსებენ სამკითხველოს, ხვალ ვრცელდება სახალხო წიგნები, იბეჭდება იაფ-ფასიანი გამოცემანი და სხვა-და-სხვ. მხოლოდ ყველა ამას ჯერ-ჯერობით ეტყობა გაუბედაობა და გამოურკვევლობა აზრისა, ეს პირველი ნაბიჯია საბედნიერო მიმართულებისა, პირველი ნაბიჯია და თავისს ბედსაც ვერ ასცდილდება: სანამდის ძალ-ღონეს შეიძენდეს, ბევრ ჯელ წაიბორძიკებს, პირ-და-პირის გზის მაგიერ ხან-და-ხან დახლართულსაც აირჩევს, მაგრამ ბოლოს-კი მაინც თავისს საგანს მიაღწევს. სადაც არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრება, სადაც არის თავისუფლება აზრისა, სადაც უკვე შემუშავებულია საერთო იდეალები, იქ, რასაკვირველია, ახალს წევრს ძალიან ადვილად შეუძლიან საერთო იდეალების შეთვისება. მაგრამ, თუ ადამიანი მოკლებულია საერთო სჯას, საერთო კამათს, მაშინ იმისს გონებას აკლია შალაშინი, იმისს გონებაში არ არის მკვიდრად განსაზღვრული საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები.

ამ აზრის დასაბუთებლად ბევრი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ, რა საჭიროა მაგალითი, როდესაც თითოეული ჩვენგანი კარგად ჰგრძნობს ამ ნაკლს. დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს: ადამიანი, ეს საზოგადოებრივი არსება, მოკლებული საზოგადოებას, ინსტიქტიურად ეძებს თავისის ლტოლვილების დასაკმაყოფილებელს საშუალებას, რომელსაც ჰპოებს მხოლოდ წიგნში. ამ გვარად წიგნი იქმნება ერთად-ერთ სალაროდ, რომლიდგანაც გამოაქვს მას გონებისა და ზნეობის შესამუშავებელი მასალა. ამიტომ რამდენად წიგნი ზნეობისა და გონების კადობანია, იმისი ზედ-გავლენა კეთილია. გარდა ამისა ის უნდა იყოს შესაფერი იმ წრისა, რომლისთვისაც დაწერილია. ჩვენი მწერლები ხალხის გონებას ადარებენ ბავშვისას და იმავე დროს საყმაწვილო ლიტერატურა სახალხოდ მიაჩნიათ. ეს რასაკვირველია, დიდი შეცდომაა. ბავშვის გონება უფრო მოგვაგონებს თაფლის სანთელს, რომლისაგან შესაძლებელია სასურველის სახის გაკეთება! გლეხის გონება-კი უკვე დამკვიდრებულია. უკვე მიღებული აქვს ერთგვარი მიმართულება., თუმცა, საუბედუროდ, ეს მიმართულება ყოველთვის ცალ-მხრივია. აი, აქ უნდა მიეშველოს მას ინტელიგენტი, მაგრამ უნდა მიეშველოს როგორც მცოდნე პედაგოგი. ყოველთვის, სანამ პედაგოგი შეუდგება თავისს მოწაფესთან მეცადინეობას, სცდილობს გაიგოს, რა ცოდნა აქვს იმისს მომავალ მოწაფეს, რამდენად შეთვისებული აქვს ესა, თუ ის ჭეშმარიტება. აი ამგვარადვე უნდა მოიქცეს მწერალიც, რადგანაც სარგებლობა სახალხო წიგნისა დამოკიდებულია იმ მასალასა და სისტემატიურს ცოდნაზედ, რომლის მქონებელიც ის არის; ასე რომ სახალხო წიგნების ავტორს ყოველთვის ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი—რა ცოდნა აქვთ იმათ, რომელთათვის არის დაწერილი მისი თხზულება და, მაშასადამე, იმათის ცოდნით უნდა იხელმძღვანელოს. თუმცა ჩვენი საქართველო პატარა არის, მაგრამ ამ პატარას, თუმცა საყურადღებო ქვეყანას, სამწუხაროდ, ვერ დაუმსახურებია ჩვენს წინაშე იმდენი სიყვარული, რომ ჩვენ დაგვევლო იმისი კუთხეები, ხალხი და იმისი მდგომარეობა ნამდვილად შეგვესწავლა. ჯერ-ჯერობით ამ გზას არ ვადგევართ. რაც შეეხება აწერილობით ჩვენის ხალხის მცნობას, აქაც მასალის უქონლობა გვატყვია. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც, ყოველთვის, როდესაც გვსურს შევისწავლოთ რომელიმე მოვლენა, ჯერ უნდა შევკრიბოთ იმის შესახები საბუთები და შემდეგ ვეცადოთ, რაიმე დასკვნა გამოვიყვანოთ. ქართული წიგნების მკითხველი საზოგადოება დღითი-დღე ჰმატულობს, მაგრამ ჩვენ დღემდისაც არ ვიცით, თუ როგორ ესმის ამ საზოგადოებას სხვა და-სხვა აზრები, ამა თუ იმ თხზულებაში გატარებული. ამ შემთხვევაში დაბრკოლებულია არა მდაბიო მკითხველი, არამედ თვით მოწინავე საზოგადოებაც, რადგანაც ქართველებს არა გვაქვს გამორკვეული და შემუშავებული კრიტერიუმი ლიტერატურის თხზულებების დასაფასებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა თითოეულს ჩვენგანს, როგორც ინტელიგენტს, ისე არა ინტელიგენტს გვაქვს თავისი შეხედულობა ყოველი საგნის შესახებ აი ეს შეხედულება უნდა იყოს საგნად სახალხო წიგნების ავტორთათვის. ჩვენ უკვე გვაქვს სახალხო წიგნები, როგორც მაგალითად. ,,როსტომ მეფე'', ,,აპინძის ომი'', ,,ყაჭის მოვლა'', ,,შინაური საქონლის მოვლა-მოშენება'' და სხვა. მაგრამ ჩვენ დღემდის არ ვიცით, თუ რამდენად შესაფერნი არიან ეს წიგნები? ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე სამკითხველო, მაგრამ მათზედ მხოლოდ ის გვესმის, თუ ვინ რა შესწირა,—მეტი-კი არაფერი! რა მიმართულება აქვს ამ დაწესებულებას, ვინ ჰკითხულობს წიგნებს, რა გვარ წიგნებს უფრო ეტანებიან და სხვა ამისთანებზედ-კი შესაფერს ცნობას ვერ იპოვით. ამ შემთხვევაში, ჩემის აზრით, ყველაზედ უფრო შემცდარნი არიან გაზეთები. იმის მაგიერ, რომ სწერონ სხვა-და-სხვა წვრილი და შედარებით უმნიშვნელო ამბები, უკეთესი იქნებოდა გადაეშალათ თავისი ფურცლები სხვა-და-სხვა გვარის აზრებისა და ფაქტებისთვის სახალხო განათლების შესახებ. მაშინ ჩვენი სოფლელი ინტელიგენტებიც მოჰკიდებდნენ ამ საგანს ხელს და ცოტა ხანში შეიძლებოდა ხალხის ხასიათის დასურათება ამ მხრივ. მაგრამ, რომ მასალა შეიკრიბოს, ამისთვის საჭიროა სახელმძღვანელო პროგრამა. როგორც მოგეხსენებათ, რუსეთი ამ მხრივ ჩვენზედ წინ წავიდა. იქაური წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტი ადგენს პროგრამებს მასალის შესაკრებად, ახასიათებს სოფლის მკითხველს, იცნობს მისს შეხედულებას და ასე მომზადებული სწერს სახალხო წიგნებს.

ჩვენც გვაქვს ამგვარივე დაწესებულება—,,წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება''. აი, ამ საზოგადოების ვალია შეიმუშაოს ამგვარი პროგრამა, რისთვისაც საჭიროა ცალკე კომისია. დღეს ჩვენი ქვეყანა დიდს გასაჭირშია, უმეტესად მატერიალურის მხრით. ამიტომ თავდა-პირველად უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიურს საგნებს. თუმცა ჩვენი ქვეყანა დიდი არ არის, მაგრამ თითოეული იმისი მხარე წარმოადგენს თითქმის განმარტოებულს კუთხეს, აქვს თავისი განკერძოებული წარმოება. რომ სახალხო წიგნებმა მიაღწიონ თავისს დანიშნულებას, საჭიროა იმისმა ავტორმა მიიღოს მხედველობაში ადგილობრივი, განსაკუთრებული თვისებანი თითოეულის მხარისა. მაგალითად გურულს გლეხს რად უნდა, გაიგოს, თუ როგორ აშენებენ დაბლარს? იმან უნდა იცოდეს, როგორ მოუაროს სიმინდს იმ „ჭიოლ ტბაში", როგორიც არის მისი სათესი ადგილები. იმისთანა მხარეებიც არის, სადაც სიმინდის თესვას თითქმის არ მიდევენ. რომ მასალის შესაკრებად სახელმძღვანელოს პროგრამა ცალ-კერძი არ გამოვიდეს, ამიტომ სასურველია, რომ იმისს შემუშავებაში მიიღონ მონაწილეობა სხვა-და-სხვა მხარის წარმომადგენლებმა.

ორიოდე სიტყვაც წიგნების გავრცელებაზედ. როგორც ვიცით, წიგნის მაღაზიები მოთავსებულნი არიან ქალაქსა და დაბებში, გლეხი-კი ქალაქში თითქმის არ დადის; თუ მიდის, ისიც ძლიერ საჭირო საქმისთვის; ასე რომ იმას წიგნისათვის ქალაქში წასასვლელად არა სცალიან. ამასთან ის დიდის კმაყოფილებით წაიკითხავს წიგნს თავისუფალს დროს და კიდეც ცდილობს შეიძინოს იგი. დასაბუთებლად ამისა, მოვიყვან მაგალითს ჩემისავე ცხოვრებიდგან. გასული აღდგომის სადღესასწაულოდ მე, როგორც მოწაფე, დამითხოვეს და მეც სახლისაკენ გავემგზავრე. თან წავიღე ,,წერა-კითხვის საზოგადოების'' მაღაზიიდგან პატარა წიგნაკები, სულ ერთი თუმნის სადირალი, ისე—საცდელად. წარმოგიდგენთ ჩემი განცვიფრება, როდესაც ორ დღეში სუყველა წიგნები დაიტაცეს. ჩვენში, როგორც მოგეხსენებათ, დადიან ურიები სავაჭროდ. ერთს ურიას ვთხოვე: მოდი, რამდენიმე წიგნაკს მოგცემ და, რასაც გაჰყიდი, მეოთხედი ფასი შენ წაიღე-მეთქი, ურიაც დამთანხმდა და ზაფხულის რვა-ცხრა დღეში ექვსი მანეთის წიგნი გაჰყიდა. ეს ჩაიდინა ურიამ, რომელსაც სრულებით არ ეპრიანება ჩვენი წიგნების გავრცელება. ახლა ვიფიქროთ, რას იზავდა, რომ ჩვენი წიგნების დამტარებელი გვყოლოდა. მაგრამ ესეც წერა-კითხვის საზოგადოების გადასაწყვეტად იყოს.

პ. როსტომიძე.

*) ამ წერილს ვბეჭდავთ შემოკლებით თუმცა, რაც დარჩა, იმის შესახებაც ჩვენ ამ დღეებში გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს.

რედ.

## რუსეთის ცხოვრება.

კავკავიდგან სწერენ გაზეთ „რუს. ვედ."-ს, რომ ჩვენის საზოგადოების უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად მიპყრობილი აქვს თერგის ოლქში მცხოვრებელ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლების სურვილსაო. ჩრდილო-კავკასიის დაპყრობის დღიდგან არა ერთხელ და ორჯელ გადასახლებულან აქაური მაჰმადიანები, და ეს მოვლენა ხან მიწყნარდებოდა ხოლმე და ხან-კი ისევ თავს იჩენდა. ,,თერგის კალენდარში'' დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები ამ საგნის შესახებ. როგორც ამ კალენდრიდგანა სჩანს, მრავალი მაჰმადიანი გადასახლებულა, რუსეთის მიერ ამ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ. უფრო თვალსაჩინო გადასახლება მოხდა რუსეთის სამსახურში მყოფის გენერალ მუსსი კუნდუხოვის (ტომით ოსი იყო) შთაგონებით. კუნდუხოვის მიერ დაწყებულმა მოძრაობამ ყაბარდოელებიც აალელვა. ესენიც თავ. ფშემახო ჯამბათოვის მეთაურობით გადასახლდნენ. შემდეგ გადასახლება შეჩერდა. ხოლო როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდა, ერთხელ კიდევ დაიძრა ემიგრაცია. მას შემდეგ-კი კვლავ დაცხრნენ და აი ეხლა 1893 წ. მთიულებმა კვლავ დაიწყეს ოსმალეთში გადასახლებაზედ ლაპარაკი. 1892 წ., როდესაც ხოლერობა მოისპო, ხმა გავრცელდა, რომ ეს უბედური სენი ღმერთმა გამოჰგზავნა იმიტომ, რომ მაჰმადიანები ქრისტიანთა სახელმწიფოში სცხოვრებენო, და ვინც აქ მოკვდა მაჰმადის სამოთხეს არ ეღირსებაო. ამ ხმას ისიც დაემატა, რომ მთელის ევროპის ხელმწიფენი შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს: ოსმალეთში მცხოვრები ქრისტიანები რუსეთში გადავასახლოთ და რუსეთში მცხოვრებელი მაჰმადიანები-კი ოსმალეთშიო. რისთვისაც სულთანმა თავისს სახელმწიფოს უკეთესი ადგილები დაუთმოო. თუმცა მუფთიმ (მაჰმადიანთა მღვდელმთავრის განსაკუთრებული წიგნაკი გამოსცა და არწმუნებდა თავისს სამწყსოს, რომ ეგ ხმები ტყუილიაო, მაგრამ მაჰმადიანებმა არ დაუჯერეს.

მთავრობა მოხარულია მაჰმადიანების გადასახლებისა იმიტომ, რომ თავისუფალ ადგილებზედ რუსებს დაასახლებს, მაგრამ, რადგან უნდათ, რომ თავიდგან აიცილონ მთიულების უაზრო ხეტიალი, ოსმალეთის მთავრობასთან უნდა მოილაპარაკოს და მხოლოდ მაშინ მისცეს ნება გადასახლებისა, თუ ოსმალეთის მთავრობა მოისურვებსო."

—

გაზეთი ,,ბირჟევი ვედომოსტი'' იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროს შეუმუშავებია პროქტი, რომელიც საგლეხო ბანკის წესდების შეცვლას შეეხება. ახალი პროექტი, რომელიც უკვე წარდგენილია სახელმწიფო საბჭოში განსახილველად, ძალიან განირჩევა ძველის წესდებისაგან. ბანკის მოღვაწეების საგნად, რასაკვირველია, დარჩა დახმარება გლეხთა ადგილ-მამულის შეძენაში; გარდა ამისა ბანკი თვით იძენს ხოლმე მამულებს და მერე გლეხებს გადასცემს იჯარით, ან და მიჰყიდის.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს მოჰსვლია დასამტკიცებლად წესდება ახლად შემდგარის საზოგადოებისა. ამ საზოგადოებას საგნად დაუსახავს აზიის ყოველმხრივ შესწავლა: ისტორიულად, ეკონომიურად, ეტნოგრაფიულად და სხვა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გაზ. ,,მოსკოვ ვედომ.''-ში ნაღარასა სცემს ერთი ვიღაც მოსიარულე რუსი'' და მთავრობას ასმენს ერთი გაფუჭებული და დავიწყებული საქმე უნდა გავასწოროთო. ეს დავიწყებული საქმე გახლავთ პოლონეთი, რომელსაც ოფიციალურს ენაზედ ეხლაც ,,პოლონელთა სამეფო'' ეწოდება.

> აბა, გასაოცარი არ არის ის ამბავიო, ამბობს ეს რუსი, რომ აქამდის იმ მხარეს კიდევ „პოლონელთა სამეფო"-ს უწოდებენ. იქნება ზოგს მნიშვნელობას მოკლებული ეგონოს ეს ამბავი, მაგრამ, ტყუილად: წარმოიდგინეთ, პოლონეთის ინტელიგენციას ამ გარემოებით რაღაც იმედი ეძლევა და ჰგონია, რომ მთავრობას უნდა ეს მხარე სულ ცალკე ცენტრად გახადოსო. არა ერთხელ გამიგონია ეს მოსაზრება პოლონელ ინტელიგენტებისაგანაო.

რაკი ეს სამწუხარო ამბავი აუწყა მკითხველებს დამწერმა პატრიოტმა, წამალიც გამოსძებნა სატკივარისა და და მთავრობას ურჩევს:

> დრო არის ეს მხარე რუსეთის სხვა ადგილებს შევუერთოთ და ერთ გუბერნიათ გადავაკეთოთო.

რაკი ასეთი უებარი საშუალება იპოვა პოლონელ ინტელიგენტების იმედების გასაქარწყლებლად, რაღა თქმა უნდა, რომ იგი დამშვიდდებოდა. დამშვიდება-კი მეტად საჭიროა იმისთვის, რადგან წერილის დასაწყისშივე ეს გარემოება აწუხება:

> ამას წინად პოლონეთში ვიყავი და წარმოიდგინეთ, დავრწმუნდი, რომ ამ მხრის გარუსება მეტად და მეტად გვიანდება, თუმცა-კი ყველა იმას გაიძახოდა—გარუსება მტკიცედ იკიდებს ფეხსაო.

არ ვიცი ,,მოსიარულე რუსისაგან" მიწოდებული რჩევა გაარუსებს ვისმე თუ არა და ჩვენ-კი საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ რომელსამე სამეფოს—სამთავარ-მართებლოდ გარდაქმნა; ან სამთავარ-მართებლოს გუბერნიათ დასახვამ რომ ვინმე გაარუსოს. ვერ გა-

გვიგია, ვისთვის ან რისთვის არის საჭირო, რომ მაინცა-და-მაინც ყოველი სხვა-და-სხვა ერი, რომელიც დღეს რუსეთის სახელმწიფოს შეადგენს—იძულებულ იყოს თავისი ეროვნული სახე და თვისებანი შეიცვალოს. რალა თქმა უნდა, რომ სახელმწიფო ინტერესები სრულებით არ მოითხოვდა ერების ამნაირს შეცვლას; თუ ვისიმე ინტერესია ამ საქმეში, ისევ იმ ფსევდო-პატრიოტებისა, რომელნიც აგერ ოც-და ათი წელიწადია, რაც „მოსკ. ვედ.“- და იმის გვარ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზედ ჰნავარდობენ.

## უცხოეთი

—

**ინგლისი და საფრანგეთი.** როგორც მკითხველებმა იციან, ინგლისმა დიდი ხანია დააბანაკა თავისი ჯარები ეგვიპტეში ვითომ მშვიდობის დასამყარებლად. ინგლისის მთავრობამ ყველა სახელმწიფოები დაარწმუნა, რომ, როგორც-კი ეგვიპტეში მშვიდობიანობა დამყარდება და საქმეთა მსვლელობა ნორმალურს გზას დაადგება, მაშინვე თავს დავანებებ ამ ქვეყანასაო. მაგრამ დრო მიდიოდა, ეგვიპტე კარგა ხანია დაწყნარდა და ინგლისი-კი იმას ხელს არ უშვებდა. საფრანგეთი, რომელსაც აფრიკაში ბევრი თავისი ინტერესები აქვს, დიდის ეჭვით ადევნებდა თვალს ინგლისის ბატონობას ეგვიპტეში და დრო-გამოშვებით აგონებდა—თავი დაანებე ეგვიპტესაო. უკანასკნელს დროს საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ინგლისს ჰსურს სამუდამოდ გაბატონდეს ეგვიპტეშიო; ამბობენ, ამის შესახებ საიდუმლო მოლაპარაკებაა გერმანიასა და ინგლისს შუა. საფრანგეთს გარდაწყვეტილი აქვს, არავის არ დაანებოს ეგვიპტე, თუნდ ამისთვის ომიც დასჭირდეს. ამბობენ, ეგვიპტის ამ საქმემ გამოიწვია კაზიმირ პერიეს სამსახურიდგან ვადადგომაო და ფელიქს ფორის აღმორჩევა პრეზიდენტადაო. რადგანაც საფრანგეთი ინგლისზედ უფრო ძლიერია და მარტო ინგლისი ვერ გაჰბედავს, საფრანგეთს შეებრძოლოს, ამიტომ დასარწმუნებელია ზემოხსენებული ხმები; დასაჯერებელია, რომ ინგლისს ზურგს უმაგრებს გერმანია.

—

**გერმანია.** ჟურნალ „Zeit“-ის უკანასკნელს ნომერში დასტამბულია ახლად აღმოჩენილი მრავალი წერილები ფერდინანდ ლასსალისა, რომელიც მიუწერია მას თავისის მშობლებისა და დისათვის. ეს წერილები ფრიად საინტერესო არის თურმე.

—

**იტალია.** ამას წინად მილანში პარლამენტის მემარჯვენეთა წინამძღოლმა და მინისტრ-პრეზიდენტათ ნამყოფმა რუდინიმ სიტყვა წარმოსთქვა იტალიის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ. განმარტა-რა ის ანორმალური საქმეთა მსვლელობა, რომელიც გამოუწვევია პარლამენტალურს კრიზისს, რუდინიმ სთქვა: »ჩემი პროგრამა შემდეგია: არც რეაქცია არც რევოლიუცია. ტყუილად ჰგონიათ ზოგიერთებს, რომ რეაქცია ჰშველის ხალხს და თავიდგან აშორებს მას რევოლიუციას, პირ იქით რეაქცია ყოველთვის რევოლიუციას გამოიწვევსო“.

—

**აღმოსავლეთის ომი.** როგორც ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, ლი-ხუნგ-ჩანგს მინდობილი აქვს ჩინეთის მთავრობისაგან, რომ იაპონიასთან მშვიდობიანობის ჩამოგდებაზედ მოილაპარაკოს. ხოლო თუ ვინიცობაა იაპონიამ მეტის მეტი და გადაჭარბებული პირობანი წარუდგინა, მაშინ ჩინეთი იძულებული იქმნება ევროპის სახელმწიფოთ მიჰმართოს და მათის შემწეობით იაპონიის უსამართლოება ალაგმოს.

ამ ამბის გამო პეტერბურგის გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ამბობს, რომ მართლა-და დრო არის დანამდვილებით შეიტყონ ჩინეთის მომიჯნავე სახელმწიფოებმა, რა პირობები ჰსურს იაპონიას წარსადგენათაო, რადგანაც, ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი უეჭველად დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ამ საქმეშიო, ხოლო გაზეთი „მოსკოვ. ვედომოსტი“ პირდაპირ და გულ-ახდით აღიარებს, რომ დრო არის იაპონიამ თავი დაანებოს ჩინეთთან ომსა და თავისი ჯარები უკან დააბრუნოს, დრო არის, რომ რუსეთმა თავისი მოვალეობა აღასრულოს და თავ-გასულის იაპონიის თვით ნებობას ფრთები შეაკვეცოსო.

## ნარევი

რა მნიშვნელობა აქვს რიცხვს „სამს“ თ. ბისმარკის სიცოცხლეში. ერთი გერმანული გაზეთი იუწყება, რომ ბისმარკს ძლიერ უყვარს რიცხვი „სამი“, რადგან მას დიდი ალაგი უჭირავს იმისს ცხოვრებაშიო. ბისმარკი სამს იმპერატორს ემსახურებოდა, სამს ომში ყოფილა, სამს მშვიდობიანობის ხელ-შეკრულობაზედ მოუწერია ხელი, სამი იმპერატორი სკვერნევიცში ერთმანეთს შეახვედრა და სამთა კავშირი შეადგინა; ომში სამი ცხენი მოუკლეს; იმისს გვარეულობის გერბს სამ-ყურა ბალახი შეადგენს, რაც-კი კარიკატურები ყოფილა დახატული ბისმარკის დასაცინავად—ყველგან მარტო სამის თმით ჰხატავდნენ. დასასრულს ბისმარკს სწორედ სამი შვილი ჰყავს: ჰერბერტ, ვილჰელმ და მარია.

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

15 ამ თვის ღამის მატარებლით ოზურგეთში მოვდიოდი და თან ტფილისში ნაყიდი წიგნები და სხვა-და-სხვა საკანცელარიო ნივთები მომქონდა. ნატანების სადგურზედ რომ მოვედი, ახქარებით გადმოვალაგე ჩემი ბარგი და დალიჟნისაკენ გავწიე.

მეორე დღეს, ბარგის გახსნის დროს ჩემმა შაგირდებმა შენიშნეს, რომ ვიღასიც ბარგიც გამომცვლია, ეს ბარგი აღმოჩნდა 100 ცალზედ მეტი, ფიცარზედ და სქელ კარდონზედ გაკრული ხატები. ახლა არ ვიცი მაღაზიიდგან გამომატანეს შეცდომით, თუ მე გადმომყვა სადგურიდგან სიჩქარის გამო. ვაუწყებ-რა ამას, უმორჩილესად ვთხოვ ამ ნივთების ნამდვილს პატრონს გაზეთის საშუალებით გამაგებინოს თავისი ვინაობა შემდეგის ადრესით: ოზურგეთი, სტამბა და წიგნის მაღაზია, კონსტანტინე თავართქილაძეს.

ვთხოვ სხვა გაზეთებსაც, ეს წერილი გადაბეჭდონ.

ქ. ოზურგეთი.

კ. თავართქილაძე.

—

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო ქალბატონს ალექსანდრა მიხეილის ასულს ყაზბეგისას, განჯაში გამართულის ქართულის საღამოს გამგეს, რომელმაც ქართულის ხოროს სასარგებლოდ ამ საღამოზედ შემოსულის ფულიდგან 45 მანეთი გადასდო და გამომიგზავნა.

ქართული ხოროს ლოტბარი იოსებ ივანეს ძე რატილი.

ქ. ტფილისი.

## „ივერიის“ ფოსტა

—

დ. აბაშა, მ. ო. კ.—ს. რაკი აგრე ძალიან გაინტერესებთ სიზმრის წარმომდინარეობა, გირჩევთ მიჰმართოთ ამ საგნის მაკვლევარის მსწავლულის მორის შრომას „Сонъ и сновидѣнія“, რომელიც რუსულს ენაზედ არის ნათარგმნი.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

მეფე დავით აღმაშენებელი
**და იმისი დრო**
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
ფასი ორი აბაზი

---

დამზღვევი საზოგადოება
**„იაკორი“**
(დ უ ზ ა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში, ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2). იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—ა)

---

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

დამზღვევი საზოგადოება
**„როსსია“**
ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან.

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 5) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთებს მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემებას ნავთ-სადგურებზედ.

50—6—8